

20 შედეგი 2020 წლისთვის

მონიტორინგი – საქმის ვითარება 2020 წლის თებერვალში

2017 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ბრიუსელის სამიტზე დამტკიცდა „20 შედეგი 2020“ წლისთვის“ - აღმოსავლეთ პარტნიორობაში რეფორმების მასშტაბური სამუშაო გეგმა, რომელსაც რეალური შედეგები უნდა მოეტანა მოქალაქეებისთვის.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და პარტნიორი ქვეყნების დასახმარებლად ამ პროცესის წარმართვაში, ევროპის საგარეო საქმეთა სამსახური და ევროკომისია რეგულარულად აწარმოებენ აღნიშნული გეგმის განხორციელების მონიტორინგს - რაც მოიცავს როგორც მიღწევებს, ისე იმ სფეროებს, სადაც შეიძლება დამატებითი ძალისხმევა იყოს საჭირო.

ეს დოკუმენტი წარმოადგენს ინიციატივის „20 შედეგი 2020 წლისთვის“ **გახორციელების და 2020 წლის თებერვლისთვის მიღწეული კონკრეტული შედეგების განახლებულ მიმოხილვას**. მასში არ არის მოცემული ახალი ვალდებულებები. მისი შედეგები დამყარებულია შიდა მონიტორინგის პროცესზე ევროპის საგარეო საქმეთა სამსახურის და ევროკომისიის მონაწილეობით, რაც ასევე ითვალისწინებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინსტიტუციური სტრუქტურების (მათ შორის პლატფორმების და პანელების) შეხვედრების შედეგებს. ამ დოკუმენტში შერჩევით არის გაშუქებული საფუძვლიანი შიდა მონიტორინგის ყველაზე უფრო რეპრეზენტატიული შედეგები. წინა ანგარიში ასახავდა 2019 წლის მარტამდე მიღწეულ შედეგებს.

ყოვლისმომცველი



ეკონომიკა



მმართველობა



კავშირები



საზოგადოება



ზომიერი წინსვლა 

| გრაფიკის მიხედვით 

| შესრულებულია 



ძირითადი მიღწევები

1

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის ზრდა

- ✓ ამჟამად მიმდინარეობს პოტენციალის შექმნის საქმიანობა ყველა პარტნიორ ქვეყანაში. ეს საქმიანობა ფოკუსირდება პირველად ორგანიზაციებზე, მოქალაქეთა ჩართვის ინოვაციურ მეთოდებზე და ადგილობრივი რესურსების მობილიზაციაზე.
- ✓ სამოქალაქო საზოგადოების ახალგაზრდა ლიდერების 60-ზე მეტ სასტიპენდიო პროექტზე გაიცა გრანტი, რითაც 200-მდე ახალგაზრდა ლიდერმა ისარგებლა.
- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნისთვის მომზადდა სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის საპილოტე ინსტრუმენტი.
- ✓ ევროკავშირმა გაზარდა ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში, რომლის მიზანია პოლიტიკის დიალოგის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის განახლებული ინსტიტუციური სტრუქტურის ფარგლებში.

2

გენდერული თანასწორობის ზრდა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა

- ✓ განხორციელდა გენდერული სამოქმედო გეგმების განახლება სომხეთში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში.
- ✓ სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას უკვე დანერგილი აქვთ გენდერული თანასწორობის კონკრეტული კანონები.
- ✓ ექვსივე პარტნიორ ქვეყანას უკვე მიღებული აქვს ოჯახური ძალადობის საწინააღმდეგო კონკრეტული კანონმდებლობა, ხოლო სომხეთს და უკრაინას შემდგომი შესწორებები შეაქვთ საკუთარი კანონმდებლობის განახლების მიზნით.
- ✓ 60 მილიონ ევროზე მეტი გაიცა ქალების მიერ მართულ 7,250-მდე მცირე და საშუალო საწარმოზე, და მხოლოდ 2018 წელს 290 მეწარმე ქალს ჩაუტარდა ტრენინგი ინიციატივის EU4Business ფარგლებში.
- ✓ ხდება თანასწორობის კანონმდებლობის განახლება სომხეთსა და მოლდოვაში, ხოლო ბელარუსში ტარდება თანასწორობის კანონმდებლობის მიზანშეწონილობის კვლევა ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

3

სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერება და მრავალფეროვანი და დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა

- ✓ ევროკავშირმა ჩაატარა ბრენდინგის, შეტყობინებების, ცნობადობის და ინფორმაციის გავრცელების უფრო თანმიმდევრული ღონისძიებები ქოლგა-შეტყობინების ფარგლებში „stronger together“. მან ასევე გააძლიერა ინფორმაციის გავრცელება ახალგაზრდებზე 730 „ახალგაზრდა ევროპელი ელჩის“ დანიშვნით ევროკავშირის და მისი ფასეულობების პოპულარიზაციის მიზნით მთელ რეგიონში.
- ✓ საკომუნიკაციო კამპანიები ევროკავშირის საქმიანობის შესახებ ტარდებოდა ყველა პარტნიორ ქვეყანაში. მაგალითად, აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-10 წლისთავი (#EaP10) 2019 წელს საზეიმოდ აღინიშნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში. გარდა ამისა, ჩატარდა კამპანიები სომხეთში (EU4Armenia), აზერბაიჯანში (EU4YOU), ბელარუსში (Neighbours Inspire), საქართველოში (EU4Georgia), მოლდოვაში (EU-Moldova: Stronger Together) და უკრაინაში (Moving Forward Together).
- ✓ 2019 წელს პროგრამის „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო“ ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით რეგიონის მოქალაქეების 67% დადებითად აღიქვამს ევროკავშირის ურთიერთობებს მათ ქვეყანასთან (6%-ით ზრდა 2017 წლის შემდეგ). აღმოსავლეთ პარტნიორობის მოქალაქეების 65% (6%-ით ზრდა 2017 წლის შემდეგ) დარწმუნებულია, რომ „ევროკავშირის რეალური სარგებლობა მოაქვს მოქალაქეებისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში“. გარდა ამისა, აღმოსავლეთ პარტნიორობის მოქალაქეების 58% ევროკავშირის თვლის ყველაზე სანდო უცხოურ ინსტიტუციად.
- ✓ დღეისათვის ევროკავშირის მხარდაჭერით 850-ზე მეტ ჟურნალისტს და მედიის პროფესიონალს ჩაუტარდა ტრენინგი ჟურნალისტიკის კომპეტენციებსა და ჟურნალისტურ უნარებში, რაც ხელს უწყობს მედიის დამოუკიდებლობას.

ყოვლისმომცველი შედეგები

საქმიანობის პრიორიტეტები

- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა
- დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა
- საერთაშორისო ინსტრუმენტების რატიფიკაცია და შესაბამისი კანონმდებლობის დანერგვა გენდერული თანასწორობის და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო საკითხებზე მთელ რეგიონში.

წარმატების ისტორიები



#EaP10 – როდესაც კომუნიკაციას ერთად ვახორციელებთ

აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-10 წლისთავის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში ევროკავშირმა ჩაატარა საკომუნიკაციო კამპანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ძირითად მიღწევებზე ფოკუსირებით. კამპანია დაიწყო თებერვალში 100 „ახალგაზრდა ევროპელი

ელჩის” ფლემზობით ბრიუსელში და ექვსივე პარტნიორ ქვეყანაში, ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და აუდიო-ვიზუალურ კონტენტზე ფოკუსირებით. კამპანიამ პიკს მიაღწია მათში პარტნიორ ქვეყნებში ევროპის დღის საზეიმო აღნიშვნით და მაღალი დონის ღონისძიებებით ბრიუსელში. ამ ღონისძიებებმა მედიის ყურადღება მთელ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მიიპყრო. მთელ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ტელევიზიის, რადიოს და ახალი ამბების ვებსაიტების საშუალებით ინფორმაცია მიიღო სულ 43 მილიონმა ადამიანმა, ხოლო სოციალური მედიის საშუალებით - 2.1 მილიონმა ადამიანმა.



თანამშრომლობა უკეთესი და უფრო ინკლუზიური საზოგადოებისთვის

2019 წელს საქართველოს დედაქალაქ თბილისში ევროკავშირის მხარდაჭერით ორგანიზებული იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ჰაკათონი. ჰაკათონის მიზანი იყო მოქალაქეთა მონაწილეობის წახალისება და იდეების გაცვლა საზოგადოების გაუმჯობესების საკითხზე. ჰაკათონში მონაწილეობა მიიღო 70 სამოქალაქო აქტივისტმა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნიდან - მათ

შეიმუშავეს საინფორმაციო ტექნოლოგიური ინსტრუმენტები სოციალური გამოწვევების გადასაჭრელად ინოვაციების გზით. სულ შემუშავდა 20 საპროექტო იდეა, რომელთაგან სამი წინასწარ იქნა შერჩეული ევროკავშირის 2019 წლის ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის სამოქალაქო საზოგადოების კონკურსისთვის. 2019 წლის კონკურსის გამარჯვებული გახდა ანა კრისი პროექტისთვის „ინტერაქტიული რუკა PROVIDNIK“. ეს პროექტი ეხმარება მოძრაობის შეზღუდვის მქონე ადამიანებს ჰკონდეთ წვდომა უფრო მარტივ და უსაფრთხო მარშრუტებზე უკრაინის ქალაქებში საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის შესასრულებლად. „მინდოდა შემექმნა რუკა, რომელზეც არა მარტო აღნიშნული იქნებოდა ხელმისაწვდომი და ინკლუზიური ინფრასტრუქტურა, არამედ რომელიც ასევე მოახდენდა საზოგადოების იმგვარ კონსოლიდაციას, რომ ყველა ყოფილიყო ჩართული რუკის გამოყენებაში“, აღნიშნა ანამ. ევროკავშირის მხარდაჭერით ანას ინტერაქტიული რუკა 2020 წლის აპრილში უნდა ამოქმედებულიყო.



4

საინვესტიციო და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება და მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის პოტენციალის ხელშეწყობა

- ✓ 18,000-ზე მეტმა მცირე და საშუალო საწარმომ (მცირე და საშუალო საწარმოების საერთო რაოდენობის დაახლოებით 70% ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTAs) ქვეყნებში) ისარგებლა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2016 წლის შემდეგ. ამის შედეგად შეიქმნა ან შენარჩუნებული იქნა 90,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი.
- ✓ ბიზნესის მხარდაჭერის 420-ზე მეტმა ორგანიზაციამ მიიღო ევროკავშირის დახმარება ინიციატივის EU4Business ფარგლებში
- ✓ 2020 წელს გაუმჯობესდა მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკის ინდექსი (+18% 2016 წელთან შედარებით), განსაკუთრებით - ინსტიტუციური ჩარჩოს და სამეწარმეო ადამიანური კაპიტალის სფეროებში.

5

ხარვეზების გამოსწორება ფინანსების ხელმისაწვდომობის და ფინანსური ინფრასტრუქტურის საკითხებში

- ✓ 2016 წლის ბოლოდან ფინანსური ხელმისაწვდომობის ახალი პროგრამებისთვის გამოყოფილი 350 მილიონი ევროდან დაახლოებით 50% გამოყენებული იქნება სესხებისთვის ადგილობრივ ვალუტაში.
- ✓ „სტრუქტურული რეფორმების პროგრამამ“ მხარი დაუჭირა სამოქმედო გეგმებს მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების არასაბანკო ალტერნატივების განვითარების მიზნით.
- ✓ კრედიტის რეესტრები არსებობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში.

6

ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე

- ✓ 2016 წლიდან აღმოსავლეთ პარტნიორობაში 300-ზე მეტმა „ადგილობრივმა ხელისუფლებამ“ აიღო ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის წარდგენის ვალდებულება (180-ს უკვე შემუშავებული აქვს ამ გეგმების სამუშაო ვერსია), და დაწყებულია 16 ურბანული სადემონსტრაციო პროექტი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების თემაზე.
- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში შერჩეული იქნა 12 ადგილობრივი რეგიონი ევროკავშირის დახმარების გავლენის და ცნობადობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.
- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან ხუთმა ინტერესი გამოხატა შერჩევითი სპეციალიზაციის მიმართ; უკრაინა და მოლდოვა უკვე წარმატებას აღწევს სტრატეგიების შემუშავებაში, ხოლო ამჟამად მზადდება ახალი შერჩევითი სპეციალიზაციის აქტივობები საქართველოს, სომხეთის და ბელარუსისთვის.

7

ციფრული ბაზრების ჰარმონიზაცია

- ✓ 2019 წელს პარტნიორმა ქვეყნებმა დაამტკიცეს ერთობლივი სტრატეგიული გეგმა და აიღეს რეგიონული როუმინგის შეთანხმების ხელმოწერის ვალდებულება 2020 წელს როუმინგის ტარიფების შესამცირებლად.
- ✓ ყველა პარტნიორი ქვეყანა ამზადებს ევროკავშირის მსგავს სტრატეგიებთან შესაბამის ეროვნულ ფართოზოლოვან სტრატეგიებს.
- ✓ დაიწყო კოორდინაცია სახელმწიფოთაშორის 700 მკვ სიხშირის ზოლზე, რომელიც კარგად არის განვითარებული საქართველოში, მოლდოვასა და ბელარუსში.

8

რეგიონის შიდა ვაჭრობის მხარდაჭერა პარტნიორ ქვეყნებს შორის და პარტნიორ ქვეყნებს და ევროკავშირის შორის

- ✓ 2015 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კომპანიების რაოდენობა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ქვეყნებიდან, რომლებიც აწარმოებენ ექსპორტს ევროკავშირში: საქართველოში - 46%-ით, მოლდოვაში - 48%-ით და უკრაინაში - 24%-ით.
- ✓ ევროკავშირის ვაჭრობის მოცულობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან 2016-2019 წლებში გაიზარდა: სომხეთთან - 27%-ით, აზერბაიჯანთან - 55%-ით, ბელარუსთან - 40%-ით, საქართველოსთან - 7%-ით, მოლდოვასთან - 42%-ით და უკრაინასთან - 50%-ით.
- ✓ რეგიონის შიდა ვაჭრობის მოცულობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანას შორის 2016 - 2018 წლებში 51%-ით გაიზარდა.

უფრო ძლიერი ეკონომიკა

საქმიანობის პრიორიტეტები

- დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე მომუშავე სტარტაპების ინკუბაცია და პრე-აქსელერაცია, და ინოვაციების, სამეწარმეო და შემოქმედებითი უნარების განვითარება
- ე-ხელმოწერა, ე-ვაჭრობა, ე-კომერცია, ე-საბაჟო და ე-ლოგისტიკა
- რეგიონის შიდა ვაჭრობა და სავაჭრო შეთანხმებების სრულად განხორციელება
- მოლაპარაკებები საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების კონვენციასთან მიერთების შესახებ ასევე საჭიროებს ერთობლივი ძალისხმევას მომავალი წლების განმავლობაში

წარმატების ისტორიები

ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება მცირე ბიზნესში ინვესტირებით მოლდოვასა და ბელარუსში



მოლდოვაში კომპანიაში მდებარე ჰიდროსაინჟინრო კომპანიაში 2016 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საინვესტიციო სესხი მიიღო. სესხის დანიშნულება იყო მაღალმწარმოებლური დანადგარების შექმნა მდინარე დურლემტის კალაპოტის გასაწმენდად ევროკავშირის პროექტის ფარგლებში. ამ ღონისძიებამ გადაარჩინა მდინარე დეგრადაციას, უფრო მიმზიდველი გახადა ეს ტერიტორია ინვესტიციებისთვის და გააუმჯობესა მდინარის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები 1,000 ადამიანის ცხოვრება.



2018 წელს ევროკავშირმა მხარი დაუჭირა **ბელარუსში** მდებარე მცირე კომპანიას, რომლის სპეციალიზაციაა ყველაზე თანამედროვე 3D ჰოლოგრაფიული გამოსახულების სიტემები. ეს სისტემებია იძლევა „ჩამირვის“ ეფექტს, რაც მხილველებს აძლევს 3D ვიდეოების შექმნის, მართვის და ჩვენების საშუალებას, რომლებიც თითქოს ჰაერში ლივლივებს. ევროკავშირი დაეხმარა კომპანიას მენეჯმენტის ეფექტურობის და პროდუქტიულობის გაუმჯობესებაში. ამან გამოიწვია კომპანიის მომგებიანობის ზრდა და დაეხმარა 150 სამუშაო ადგილის შექმნას ან

შენარჩუნებას. კომპანიის პროდუქტებმა უკვე მიაღწია საერთაშორისო ბრენდებს და ბაზრებს, და ის ეძებს გზებს ინტერაქტიული ჰოლოგრაფების გამოყენებისთვის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის განათლებასა და მედიცინაში.



9

სამართლის უზენაესობა და ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერება

- ✓ საკანონმდებლო ჩარჩოები კონფისკაციის საკითხზე არსებობს **სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვაში და უკრაინაში** და ისინი კონფისკაციის სხვადასხვა რეჟიმებს მოიცავს.
- ✓ ქონების და ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირების სისტემები არსებობს **სომხეთში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში**.
- ✓ **უკრაინამ** ჩამოაყალიბა **უმაღლესი ანტიკორუფციული სასამართლო**, და შეარჩია მოსამართლეები ამ სასამართლოსთვის საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

10

ძირითადი სასამართლო რეფორმების განხორციელების მხარდაჭერა

- ✓ გადადგმულია პირველი ნაბიჯები მოსამართლეების და პროკურორების სამსახურეობრივი გამოცდილების მონიტორინგის სისტემის შესაქმნელად. ეს მოიცავს ონლაინ შეფასების სისტემის შექმნას პროკურორებისთვის **საქართველოში** და დაგეგმილი საქმიანობის ან ინიციატივებისთვის **სომხეთსა და უკრაინაში**.
- ✓ **სომხეთმა** მოახდინა საკუთარი სტრატეგიული ჩარჩოს მოდერნიზაცია სამართლის სექტორში, რაც ასევე მოიცავს რეფორმების ახალი, კომპლექსური სტრატეგიის დამტკიცებას სამართლის სექტორისთვის.

11

საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა

- ✓ **საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის სტრატეგიები** შემუშავდა „საჯარო ადმინისტრირების პრინციპების“ შესაბამისად **საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში**. **სომხეთმა** განახორციელა მისი პირველი საწყისი შეფასება „საჯარო ადმინისტრირების პრინციპების“ შესაბამისად.
- ✓ **აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში** დანერგილია სერვის-ცენტრები **ერთი ფანჯრის პრინციპზე და ე-მთავრობის სერვისები**, რის შედეგად მათი ადმინისტრაციები არის მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი და სერვისებზე ორიენტირებული.
- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აღინიშნა მოქალაქეების მზარდი ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების მაღალი დონის დიალოგის საშუალებით **სომხეთში, საქართველოში და უკრაინაში**. ეს ხელს უწყობს უფრო ღია და ანგარიშვალდებულ სახელმწიფო ადმინისტრაციების ჩამოყალიბებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

12

თანამშრომლობის გაძლიერება უსაფრთხოების საკითხებზე

- ✓ **საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ** დაამტკიცეს **სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები კიბერდანაშაულის საკითხებზე**. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ სრულ შესაბამისობაში არ არის ბუდაპეშტის კონვენციასთან, **აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანას** ჩამოყალიბებული აქვს **კიბერდანაშაულის სპეციალური ქვედანაყოფი**.
- ✓ გაიზარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების და ევროპოლის მიერ ჩატარებული **ერთობლივი გამოძიებების** რაოდენობა.
- ✓ ჩატარდა **ჰიბრიდული საფრთხეების კვლევები მოლდოვასა და საქართველოსთან ერთად**.
- ✓ შემუშავდა **ხუთი რეგიონული სახელმძღვანელო რეკომენდაცია** და ინსტრუმენტი წყალდიდობის რისკის მართვისა და ცნობიერების ამაღლებისთვის კატასტროფების და სამოქალაქო დაცვის მოხალისეობის შესახებ.

უფრო ძლიერი მმართველობა

საქმიანობის პრიორიტეტები

- მაღალი დონის და კომპლექსური კორუფციის პრობლემის გადაჭრა მთელ რეგიონში, და ანტიკორუფციული ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა. ეს ჩარჩო უნდა მოიცავდეს საქმეების ნუსხის შექმნას, ფინანსური გამოძიების ინსტრუმენტების ეფექტურ გამოყენებას და ბენეფიციარული საკუთრების რეესტრის ყველა მონაცემის გასაჯაროებას.
- დასაქმება დამსახურების მიხედვით, დაუსრულებელი საქმეების რაოდენობის შემცირება და სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.
- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა
- ჰიბრიდულ საფრთხეებთან, მათ შორის კიბერსაფრთხეებთან ბრძოლა უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად.

წარმატების ისტორიები

კორუფციასთან ბრძოლა უკრაინაში

2019 წლის სექტემბერში უკრაინაში შეიქმნა უმაღლესი ანტიკორუფციული სასამართლო, რომელიც აწარმოებს კომპლექსურ, მაღალი დონის კორუფციის საქმეებს მაღალი რანგის ოფიციალური პირების და პოლიტიკოსების წინააღმდეგ.

ამ მაღალი დონის კორუფციის საქმეების გამოძიებას აწარმოებს უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო (NABU), ხოლო საქმის აღძვრას - სპეციალიზებული პროკურატურა. ევროკავშირის დახმარების სფეროები ფართოა, კერძოდ, ტექნიკური რეკომენდაციები შესაბამის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შესახებ, აღჭურვილობის მიწოდება და ტრენინგი. სასამართლო შეიქმნა მკაცრი და ძალზე გამჭვირვალე შერჩევის პროცედურის საფუძველზე, რომელიც ახლა გამოიყენება სხვა შერჩევის და შემოწმების პროცესებში მთელი უკრაინის მასშტაბით. ამჟამად ეს პროცესი სხვა ქვეყნების უდიდეს ყურადღებას იპყრობს. სასამართლო ახლა სრულად ფუნქციონირებს, და პირველი 38 მოსამართლე შერჩეული იყო საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. სასამართლომ უკვე გამოიტანა პირველი ორი განაჩენი საპროცესო შეთანხმების საქმეებზე, და კიდევ უფრო მეტი განაჩენი გამოტანა მოსალოდნელია მომდევნო თვეებში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებზე, რომლებსაც აქვს მოსმენების ძალზე ინტენსიური გრაფიკი.



სახელმწიფო და კერძო სერვისების ხელმისაწვდომობა აზერბაიჯანში

ევროკავშირის მხარდაჭერით საჯარო სერვისები აზერბაიჯანში ამჟამად უფრო ხელმისაწვდომია სახელმწიფო სააგენტოს ASAN საშუალებით. ASAN შედგება ცენტრებისგან, რომლებიც ფუნქციონირებს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით და ახორციელებს 300-ზე მეტ მომსახურებას, მათ შორის: დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების რეგისტრაცია; საიდენტიფიკაციო ბარათები; პასპორტები; მართვის მოწმობები; უძრავი ქონების რეგისტრაცია;

კომპანიების რეგისტრაცია; და ელექტრონული ვიზები. ASAN ცენტრების ქსელი აღჭურვილია მობილური სერვისით, რომლის საშუალებით ხორციელდება წვდომა შორეულ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებზე. ცნობადობის და სახელმწიფო სერვისების მიწოდებაში პროფესიონალიზმის გაუმჯობესების შედეგად აზერბაიჯანში, ASAN მომსახურებამ 2015 წელს გაეროს სახელმწიფო სერვისების კონკურსის ჯილდო მოიპოვა. მომსახურებამ ASAN, რაც აზერბაიჯანულად „მარტივს“ ნიშნავს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოქალაქეების ცხოვრება, გაამარტივა სერვისების ხელმისაწვდომობა და სისწრაფე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.



13

ძირითადი ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის გაფართოვება

- ✓ ხელმოწერილია „მაღალი დონის შეთანხმება“ გაფართოებული ინდიკატური ძირითადი ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის შექმნის შესახებ, ხოლო ევროკომისიის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი ძალაში შევიდა 2019 წლის იანვარში. ინდიკატური ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის საინვესტიციო სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტები. შექმნილია ასევე 20 მილიონი ევროს ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტი ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის განხორციელების მხარდასაჭერად.
- ✓ გარდა ამისა, ყველა ქვეყანას დამტკიცებული აქვს საგზაო უსაფრთხოების დეკლარაცია. საგზაო უსაფრთხოების საინვესტიციო პროგრამები დამტკიცებულია სომხეთში, აზერბაიჯანში და უკრაინაში.

14

ენერგომომარაგების უსაფრთხოების გაუმჯობესება

- ✓ სამხრეთის გაზის დერეფანი მთავრდება, ამჟამად ხდება სხვადასხვა სექციების დაკავშირება (სამხრეთ კავკასიის მილსადენი, ტრანს-ადრიატიკის მილსადენი და ტრანს-ანატოლიის მილსადენები); ტრანს-ანატოლიის მილსადენის დამთავრების აღსანიშნავი ცერემონია 2019 წელს საბერძნეთში ჩატარდა.
- ✓ უკრაინამ დაამთავრა ენერგეტიკის მესამე პაკეტის განხორციელება განცალკევების თაობაზე.

15

ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი ენერჯის გამოყენების ზრდა; სათბური აირების ემისიის შემცირება

- ✓ მერების შეთანხმების ჩარჩოს ფარგლებში 187-მა ადგილობრივმა ხელისუფლებამ აიღო CO₂ ემისიის 20%-ით შემცირების ვალდებულება 2020 წლამდე, ხოლო 240-მა ადგილობრივმა ხელისუფლებამ - ემისიის 30%-ით შემცირების ვალდებულება 2030 წლამდე.
- ✓ აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის (E5P) ფონდმა 150 მილიონ ევროზე მეტი ოდენობის საინვესტიციო გრანტებით უზრუნველყო 36 პროექტი, რითაც სარგებლობა მიიღო 8 მილიონმა ადამიანმა. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა მთლიანობაში 800 მილიონამდე ევროს მოზიდვა ინვესტიციების სახით. აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობა (E5P) ამჟამად ექვსივე ქვეყანას მოიცავს, ხოლო აზერბაიჯანი მასში 2019 წელს გაერთიანდა.
- ✓ ევროკავშირის და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მაღალი დონის ენერგოეფექტურობის ინიციატივამ გაზარდა პოლიტიკური საქმიანი მონაწილეობა სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში. მაგალითად, უკრაინამ შექმნა საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობის ფონდი.
- ✓ 2019 წელს უკრაინამ დაამტკიცა რეგულაციები ოზონის და ფტორირებული აირების შესახებ და კანონი სათბურის აირების ემისიის მონიტორინგის, ანგარიშგების და შემოწმების შესახებ.

16

გარემოს და კლიმატისადმი ადაპტაციის მხარდაჭერა

- ✓ აზერბაიჯანმა, ბელარუსმა, საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ მიიღეს ახალი კანონები სტრატეგიების, გეგმების და საინვესტიციო პროექტების გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ.
- ✓ ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის და დაკავშირების მიზნით ამჟამად არსებობს ზურმუხტის ქსელის საიტები ბელარუსში (155 საიტი), საქართველოში (58 საიტი), მოლდოვაში (61 საიტი) და უკრაინაში (377 საიტი). სომხეთმა და აზერბაიჯანმა ოფიციალურად წარმოადგინეს, შესაბამისად, 23 და 17 საიტი.
- ✓ ევროკავშირმა ხელი შეუწყო წყლის თანამედროვე პოლიტიკას მდინარეების აუზის დონეზე - მოიცვა 500,000 კმ² და გავლენა მოახდინა 30 მილიონზე მეტ ადამიანზე მთელ რეგიონში. 2017 წლიდან სომხეთმა, ბელარუსმა და მოლდოვამ დაამტკიცეს ოთხი მდინარის აუზის გეგმები ევროკავშირის სამიზნე ინდიკატორების შესაბამისად. ყველა ქვეყანამ მიიღო თანამედროვე აღჭურვილობა ტოქსიკური დამაბინძურებლების მონიტორინგის გაუმჯობესების და ადამიანებზე მათი ზემოქმედების შემცირების მიზნით.
- ✓ გარემოს დაცვის მონაცემები აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნიდან ხელმისაწვდომია ონლაინ ინტერნეტზე დამყარებული მიკვლევის ინსტრუმენტის საშუალებით, რომელიც განთავსებულია ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) საიტზე.

უფრო მტკიცე კავშირები

საქმიანობის პრიორიტეტები

- ურთიერთდამაკავშირებელი პროექტები გაზის და ელექტროენერჯის სექტორებში, მათ შორის გაზის ტრანსმისიის სისტემის ოპერატორების განცალკევება ენერგეტიკული გაერთიანების კონტრაქტორ მხარეებთან
- CO2-ს ემისიის შემცირების მონიტორინგი და განხორციელება პარიზის შეთანხმების შესაბამისად.
- კლიმატის საკითხების დაფინანსებასთან წვდომა
- კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია
- გარემოს ჯანმრთელობა
- ბუნებრივი რესურსების მდგრადი მენეჯმენტი და ბიომრავალფეროვნების დაცვა

წარმატების ისტორიები

თანამშრომლობა უფრო მწვანე და უფრო უსაფრთხო გარემოსთვის საქართველოში



საქართველოში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა თბილისის ავტობუსის პროექტმა ქალაქისთვის შეიძინა დაჭირბნულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე 143 თანამედროვე ავტობუსი. ლურჯმა ავტობუსებმა გააუმჯობესა თბილისის 1,2 მილიონი მცხოვრების მომსახურება საზოგადოებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოების და ეფექტიანობის გაზრდით. ახალი ეკოლოგიური ავტობუსების

საშუალებით ახლა შესაძლებელია უნარშეზღუდული ადამიანების, ხანდაზმულების და ბავშვიანი მშობლების მომსახურება, და იმავდროულად ჰაერის დაბინძურების შემცირება. ნატალია მაზიაშვილი მოხარულია, რომ შეუძლია ამ ავტობუსებით სარგებლობა: „*მე ორი შვილის დედა ვარ და ვთვლი, რომ სუფთა ჰაერი და გარემო ძალიან მნიშვნელოვანია*“, თქვა მან. „*სწორედ ამიტომ მივესალმები ამ ახალი „მწვანე“ ავტობუსების შემოყვანას. ამ ავტობუსებით თითქმის ყოველდღე ვსარგებლობ*“.



ერთობლივი ეკონომია

ენერგოეფექტურობისათვის მოლდოვაში

მოლდოვაში, ქალაქ კანტემირში არის პირველი საბავშვო ბაღი, რომლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია ევროპული სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა. გარდა ამისა, ევროკავშირის მხარდაჭერით ქალაქის ოთხი საგანმანათლებლო დაწესებულება გადადის განახლებადი ენერჯის წყაროებზე. ამგვარი რეაბილიტაცია მოიცავს შემდეგს: გარე კედლების თერმული იზოლაცია; ბიომასაზე მომუშავე გათბობის ქვაბების დამონტაჟება; გათბობის ინდივიდუალური საკონტროლო წერტილების

დამატება; მზის კოლექტორების და მზის ბატარეების დამონტაჟება; შიდა განათების სისტემების დიოდური (LED) ნათურებით ჩანაცვლება. ამის შედეგად 50 წლის შენობა ახლა სწავლის გაუმჯობესებულ პირობებს სთავაზობს 135 ბავშვს, იმავდროულად იყენებს მინიმუმ 20%-ით ნაკლებ ენერჯიას და ებრძვის კლიმატის ცვლილებას.



17

წარმატება ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხებზე მოლაპარაკებების და მობილური პარტნიორობის სფეროებში

- ✓ საქართველო, მოლდოვა და უკრაინა აგრძელებენ ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის სამიზნე ინდიკატორების მითხოვნების დაკმაყოფილებას. 2020 წლის იანვარში ხელი მოეწერა სავიზო რეჟიმის გამარტივების და რეადმისიის შესახებ შეთანხმებას **ბელარუსთან**.
- ✓ მიმდინარეობს საზღვრის გადაკვეთის პუნქტების მოდერნიზაცია. ქსელის დახმარებით განხორციელდა ერთობლივად ფუნქციონირებადი გადაკვეთის პუნქტების შექმნა **პოლონეთს და უკრაინას და მოლდოვას და უკრაინას შორის**.
- ✓ საზღვრის მართვის ინტეგრირებული სტრატეგიები დანერგილია აღმოსავლეთ პარტნიორობის თითქმის ყველა ქვეყანაში და უკვე მიმდინარეობს სტრუქტურირებული თანამშრომლობა.

18

ახალგაზრდების უნარებში, მეწარმეობისა და დასაქმების პოტენციალში ინვესტირების გაუმჯობესება

- ✓ ინიციატივის **EU4Youth** პროგრამის **Erasmus+** პოტენციალის შექმნის სქემა დაეხმარა **100 პროექტის** დაფინანსებას აღმოსავლეთ პარტნიორობის **265 EaP** ორგანიზაციასთან მუშაობის საფუძველზე. ეს პროექტები ხელს უწყობს **სამოქალაქო და სამეწარმეო აქტივობას ახალგაზრდებს შორის**. პროგრამის **EU4Youth** გრანტებით განხორციელდა ექვსი ფართომასშტაბიანი პროექტი **ახალგაზრდობის დასაქმების, შრომით მოწყობის და სამუშაოს დასაწყებად გარდამავალი პერიოდის** მხარდასაჭერად. აღნიშნულით ისარგებლა **23,000-მა ახალგაზრდამ** რეგიონში.
- ✓ პროგრამა **Erasmus+** ხელს უწყობს მობილობას და ხარისხიან ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას. 2016 წლის შემდეგ **აკადემიურ გაცვლებში** მონაწილეობა მიიღო **32,000** სტუდენტმა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენელმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნიდან; სხვა გაცვლებში, ვიზიტებსა და **მოხალისეთა პროგრამებში** ჩართული იყო **46,000 ახალგაზრდა**; მაგისტრატურის 500-მდე სტუდენტმა მიიღო **Erasmus Mundus** სტიპენდია და დაახლოებით **3,000 სკოლა** და **7,600 მასწავლებელი** დაუკავშირდა ერთმანეთს პროგრამის **eTwinning Plus** საშუალებით.
- ✓ პროფესიული განათლების რეფორმების ტურინის პროცესის საშუალებით აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანა მონაწილეობს სტრუქტურულ დიალოგში ადამიანური კაპიტალის განვითარების, პროფესიული განათლების და ტრენინგის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით.
- ✓ სომხეთმა, საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ ხელი მოაწერეს შეთანხმებებს პროექტში **Creative Europe** მონაწილეობის მისაღებად. აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის ორგანიზაციები ჩართული იყო 44 პროექტში.

19

აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის დაარსება

- ✓ **2018 წლის სექტემბერში** თბილისში გაიხსნა **აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა**. **65 მოსწავლე** აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნიდან დაჯილდოვდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სტიპენდიით საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) დიპლომის მოსაპოვებლად, რომელიც ევროპისტიკაზეა ორიენტირებული. პროექტის **II ფაზა დაიწყო 2019 წელს** და მიზნად ისახავს 2023 წლამდე სრულად ფუნქციონირებადი აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის შექმნას საქართველოს განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში.

20

აღმოსავლეთ პარტნიორობის და ევროკავშირის კვლევითი და ინოვაციების სისტემების და პროგრამების ინტეგრაცია

- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის ოთხი ქვეყანა ასოცირებულია ევროკავშირის კვლევის და ინოვაციის პროგრამასთან **Horizon 2020**. კვლევის და ინოვაციის მონაწილე მხარეები ამ ოთხ ქვეყანაში ასევე მონაწილეობენ **ევროკავშირის ქსელებში/პლატფორმებში**.
- ✓ ყველა პარტნიორი ქვეყნისთვის სრულად არის ხელმისაწვდომი პროგრამის **Horizon 2020** ყველა დაფინანსების სქემა **ინდივიდუალური მკვლევარებისთვის**, რომელთაგან **135-ს** უკვე მიღებული აქვს გრანტი. **მარია სკლადოვსკა-კიურის** სქემის ფარგლებში **აღმოსავლეთ პარტნიორობის წარმომადგენელმა 915-მა მკვლევარმა** ისარგებლა ევროკავშირის მხარდაჭერით.
- ✓ პანევროპულ **GEANT ქსელში** და საერთაშორისო როუმინგის სერვისში **Eduroam** ინტეგრირებულია ყველა პარტნიორი ქვეყნის კვლევის და განათლების ქსელები.

უფრო ძლიერი საზოგადოება

საქმიანობის პრიორიტეტები

- განათლების და სწავლების ხარისხიანი მეთოდები
- სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში
- ახალგაზრდობის დასაქმების და „ტვინების გადინების“ პრობლემების გადაჭრა
- კვლევა და ინოვაცია
- გონივრული სპეციალიზაციის და ტექნოლოგიის ტრანსფერის გამოყენება შემდეგი მიზნებით: (i) შრომის ნაყოფიერების და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; (ii) რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება.

წარმატების ისტორიები



აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველი ევროპული სკოლა

2018 წლის სექტემბერში ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მდებარე პირველმა **აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპულმა სკოლამ** საკუთარი კარი გაუღო 30-ზე მეტ ბრწყინვალე მოსწავლეს ექვსივე პარტნიორი ქვეყნიდან. ეს მოსწავლეები არა მარტო მაღალი ხარისხის განათლებას იღებენ - ისინი ასევე სწავლობენ ახალ ენებს და სწავლობენ მრავალი კულტურიდან. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სასტიპენდიო პროგრამა მოსწავლეებს სთავაზობს ინოვაციურ საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) სადიპლომო პროგრამას, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო

ბაკალავრიატის (IB) სწავლებას უნიკალური ფოკუსით ევროპისტიკაზე. გარდა ამისა, საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) სადიპლომო პროგრამა ხელს უწყობს მულტიკულტურულ გაცვლებს და ევროკავშირის ფასეულობებს. მოსწავლეებს შეუძლიათ არჩევანის გაკეთება კურსებს შორის, შეხვედრა სხვადასხვა ადამიანებთან მთელი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონიდან, და მოხალისეთა ღონისძიებებში მონაწილეობა, რომლებიც აკადემიური პროგრამის ნაწილს წარმოადგენს. დღეისათვის ეს გამოცდილება 65 მოსწავლეს აქვს მიღებული.



ევროკავშირი ხელს უწყობს ციფრულ განათლებას სომხეთში

2019 წელს **სომხეთში** გაიხსნა ევროკავშირის შემოქმედებითი ინჟინერიის და გამოყენებითი მეცნიერების ცენტრი „ტუმო“ მისი მიზანია ახალგაზრდობისთვის ხელმისაწვდომი გახადოს პროექტებზე დამყარებული და მოწინავე სწავლება ტექნიკური დარგის პროფესიონალების ხელმძღვანელობით. ცენტრი, რომელიც ორგანიზებულია, როგორც კვლევის, განათლების, მეწარმეობის და სტარტაპების ჰაბი, ემსახურება ბიზნესს და ნიჭიერ ადამიანებს ინკუბატორის

ფორმით. მისი ამოცანაა ინოვაციების ხელშეწყობა და სამომავლო სამუშაო ადგილების შექმნა. 15,000 კვ. მ ცენტრში იქნება ინფრასტრუქტურა შემდეგი საქმიანობისთვის: საგანმანათლებლო პროგრამები („ტუმოს“ ლაბორატორიები); ფრანგული უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიის და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი; პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის სკოლა; 42 საზიარო კვლევითი ობიექტი; მაღალტექნოლოგიური სამრეწველო განყოფილებები; საკონფერენციო ცენტრი და კომერციული სივრცე შემოსავლის მისაღებად ცენტრის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

ყოვლისმომცველი შედეგები		სტატუსი (2016 წლის შემდეგ)	ცვლილება (3/19-ს შემდეგ)
-------------------------	--	----------------------------------	--------------------------------

- 1. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის ზრდა + + ↑
- 2. გენდერული თანასწორობის ზრდა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა + ↔
- 3. სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერება და მრავალფეროვანი და დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა + + ↔

უფრო ძლიერი ეკონომიკა

- 4. საინვესტიციო და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება და მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის პოტენციალის ხელშეწყობა + + ↑
- 5. ხარვეზების გამოსწორება ფინანსების ხელმისაწვდომობის და ფინანსური ინფრასტრუქტურის საკითხებში + + ↑
- 6. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე + + ↑
- 7. ციფრული ბაზრების ჰარმონიზაცია + + ↔
- 8. რეგიონის შიდა ვაჭრობის მხარდაჭერა პარტნიორ ქვეყნებს შორის და პარტნიორ ქვეყნებს და ევროკავშირს შორის + + ↔

უფრო ძლიერი მმართველობა

- 9. სამართლის უზენაესობა და ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერება + ↑
- 10. ძირითადი სასამართლო რეფორმების განხორციელების მხარდაჭერა + ↔
- 11. საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა + + ↔
- 12. თანამშროლობის გაძლიერება უსაფრთხოების საკითხებზე + + ↔

უფრო მტკიცე კავშირები

- 13. ძირითადი ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) გაფართოება + + ↔
- 14. ენერგომომარაგების უსაფრთხოების გაუმჯობესება + + ↑
- 15. ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი ენერჯის გამოყენების ზრდა; სათბური აირების ემისიის შემცირება + ↑
- 16. გარემოს დაცვის ხელშეწყობა და ადაპტაცია კლიმატის ცვლილებისადმი + ↑

უფრო ძლიერი საზოგადოება

- 17. წარმატება ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხებზე მოლაპარაკებების და მობილური პარტნიორობის სფეროში + + ↔
- 18. ინვესტირების გაუმჯობესება ახალგაზრდების უნარებში, მეწარმეობისა და დასაქმების პოტენციალში + + ↑
- 19. აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის დაარსება + + + ↑
- 20. აღმოსავლეთ პარტნიორობის და ევროკავშირის კვლევითი და ინოვაციების სისტემების და პროგრამების ინტეგრაცია + + ↑

განხორციელება 2016 წლის შემდეგ: დასრულებულია + + +; მიმდინარეობს + +;

უმნიშვნელო წინსვლა +

ცვლილება 2019 წლის მარტის შემდეგ: ცვლილება არ არის ↔; წინსვლა ↑